საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“

„თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ (1872), ლიტერატურული კრებული (გამოვიდა ერთი ტომი). გამოსცა 1872 თბილისში დაარსებულმა „ქართველ ქალთა ამხანაგობამ" (ე. ყიფიანი, ე. გაბაშვილი, ე. მელიქიშვილი), რ-იც მიზნად ისახავდა უცხოელ ავტორთა თარგმნასა და გამოცემას. კრებულში შესულია „პარიჟელი ბიჭი" (ნაწყვეტი ვ. ჰიუგოს რომანიდან „საბრალონი"), „ამერიკელი ქალები XVIII საუკუნისა", „ჟულ ტარრო" და „უკანასკნელი დღენი ნათანიელ როსსელისა". `თ. ს. ს. თ-ის გამოცემას სერიოზული საზ. რეზონანსი მოჰყვა, რამაც მძლავრი ბიძგი მისცა ქართვ. ქალთა გააქტიურებას საზ., კულტ.-საგანმან. და სალიტერატურო ასპარეზზე.

ლიტ.: მ ე ს ხ ი ს., თხზულებანი სამ ტომად, შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, მისივე წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, ტ. 1, თბ., 1962; ნ ი კ ო ლ ა ძ ე ნ., ჩვენი მწერლობა, თხზულებანი, დ. გამეზარდაშვილი რედ. და შენიშვნებით, ტ. 3, თბ., 1963.

თ. ჯოლოგუა